



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მოსეშვილი ვარლამ პავლეს ძე

მოსეშვილი ვარლამ პავლეს ძე (15. XII. 1871, სოფ. გუბი, ახლანდ. ხონის მუნიციპალიტეტი, - 27. VII. 1943, თბილისი), ფარმაცოლოგი, მედ. მეცნ. დოქტორი (1908), პროფესორი (1918), საქართვე. დამს. მოღვაწე (1941).

1898 დაამთავრა ხარკოვის უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი. 1900-11 მივლინებული იყო პარიზში. 1918 აირჩიეს ხარკოვის უნ-ტის ფარმაც. კათედრის პროფესორად. 1918-19 ასრულებდა თსუ-ის ახლადჩამოყალიბებული სამკურნ. ფაკ-ტის დეკანის მოვალეობას. 1920-30 განაგებდა თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტის, ხოლო 1930-43 თბილ. სამედ. ინ-ტის ფარმაც. კათედრას.

მ. შეისწავლიდა სანარკოზო ნივთიერებების მოქმედებას, მცენარეული წარმოშობის სამკურნ. ნივთიერებების გავლენას გულ-სისხლძარღვთა და კუჭ-ნაწლავის სისტემებზე და სხვ.

თხზ.: ზოგადი ფარმაცოლოგიის სახელმძღვანელო, თბ., 1938.
